საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-10/39

ქ. ბათუმი **14 აპრილი, 2022 წელი**

ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24 მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 11 ოქტომბრის №01-02/171 ბრძანების, ბსუ-ს ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ სკოლამდელი აღზრდის მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის - „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 30 ივნისის №01-02/101 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ მასწავლებელთა გადამზადებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების კოორდინატორის, ასოც. პროფ. თემურ ავალიანის 2022 წლის 11 მარტის №248629 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ (სწავლების/საკონტაქტო 66 სთ) სწავლის საფასური განისაზღვროს **ერთ მსმენელზე 198 ლარით**.
2. ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა განისაზღვროს: ა) პირისპირ სწავლების შემთხვევაში - არანაკლებ 10 და არაუმეტეს 25 მსმენელით; ბ) ონლაინ სწავლების შემთხვევაში - არანაკლებ 10 და არაუმეტეს 20 მსმენელით.
3. პროგრამის განმახორციელებელი ტრენერის (სწავლების/საკონტაქტო 66 სთ), ასევე დამხმარე პერსონალის (ასისტენტები ნაშრომის გასწორებისათვის, სასწავლო პროცესის მენეჯმენტისათვის და სერტიფიკატების მომზადება-გაცემისა და აღრიცხვისათვის) შრომის ანაზღაურება განისაზღვროს პროგრამის ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნული ოდენობით, სწავლების ფორმატისა და მსმენელთა რაოდენობის გათვალისწინებით.
4. დამტკიცდეს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ პირველადი ხარჯთაღრიცხვა წინამდებარე ბრძანების N1 **დანართის** შესაბამისად (მსმენელთა რაოდენობის, მინიმალური - 10 და მაქსიმალური - 25-ის გათვალისწინებით).

5. ბსუ-ს რექტორის ბრძანებით პროგრამაზე 25 მსმენელზე ნაკლების (პირისპირ რეჟიმში) და 20 მსმენელზე ნაკლების (ონლაინ რეჟიმში) ჩარიცხვის შემთხვევაში ხელახლა განისაზღვროს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა და დამტკიცდეს პროგრამის ხარჯთაღრიცხვა, წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული პირველადი ხარჯთაღრიცხვის სტრუქტურის შესაბამისად.
6. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
7. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორს, რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრს თემურ ავალიანს.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი *ი. ჩხარტიშვილი*

„ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 14- აპრილის № 01-10/39 ბრძანების

დანართი 1

ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ (სწავლების/საკონტაქტო 66 სთ)
პირველადი ხარჯთაღრიცხვა 25 მსმენელის (პირისპირ სწავლების ფორმატი) და 20 მსმენელის (ონლაინ-რეჟიმით სწავლების ფორმატი) შემთხვევებში

1.	**ხარჯთაღრიცხვა 25 მსმენელზე** (პირისპირ სწავლების ფორმატი)	
1.1.	სწავლის საფასური 1 მსმენელზე	198 ლარი
1.2.	**სულ შემოსავალი 25 მსმენელზე**	4950 ლარი
1.3.	**ბსუ-ს შემოსავალი**	**991 ლარი**
1.4.	**პერსონალის შრომის ანაზღაურება, მათ შორის**	
1.4.1.	ტრენერ(ებ)ი (1 სთ - 44 ლარი, სწავლების/საკონტაქტო 66 სთ)	2904 ლარი
1.4.2.	ასისტენტი (ნაშრომების გასწორებისათვის) (1 მსმენელი - 11 ლარი)	275 ლარი
1.4.3.	ასისტენტი (სასწავლო პროცესის მენეჯმენტისთვის) (1 მსმენელი - 14 ლარი)	350 ლარი
1.4.4.	ასისტენტი (სერტიფიკატების გაცემის და აღრიცხვიანობის ორგანიზებისათვის) (1 მსმენელი - 8 ლარი)	200 ლარი
1.5.	**სხვა ხარჯები**	
1.5.1.	მატერიალური რესურსი (7,8 ლარი ერთ მსმენელზე)	195 ლარი
1.5.2.	სერტიფიკატების ხარჯი (1,4 ლარი 1 სერტიფიკატი)	35 ლარი
2.	***ხარჯთაღრიცხვა 20 მსმენელზე*** *(ონლაინ-რეჟიმით სწავლების ფორმატი)*	
2.1.	სწავლის საფასური 1 მსმენელზე	198 ლარი
2.2.	სულ შემოსავალი 20 მსმენელზე	3960 ლარი
2.3.	**ბსუ-ს შემოსავალი**	793 ლარი
2.4.	**პერსონალის შრომის ანაზღაურება, მათ შორის**	
2.4.1.	ტრენერ(ებ)ი (1 სთ - 39 ლარი, სწავლების/საკონტაქტო 66 სთ)	2574 ლარი
2.4.2.	ასისტენტი ნაშრომების გასწორებისათვის (10 ლარი 1 მსმენელზე)	200 ლარი
2.4.3.	ასისტენტი სასწავლო პროცესის მენეჯმენტისთვის (12 ლარი 1 მსმენელზე)	240 ლარი
2.4.4.	ასისტენტი სერტიფიკატების გაცემის და აღრიცხვის ორგანიზებისათვის (6,25 ლარი ერთ მსმენელზე)	125 ლარი
2.5.	**სხვა ხარჯები**	
2.5.1.	სერტიფიკატის ხარჯები (1,4 ლარი ერთ სერტიფიკატზე)	28 ლარი

პირველადი ხარჯთაღრიცხვა 10 მსმენელის (პირისპირ სწავლების ფორმატი) და 10 მსმენელის (ონლაინ-რეჟიმით სწავლების ფორმატი) შემთხვევებში

3.	**ხარჯთაღრიცხვა 10 მსმენელზე (პირისპირ სწავლების ფორმატი)**	
3.1.	სწავლის საფასური 1 მსმენელზე	198 ლარი
3.2.	სულ შემოსავალი 10 მსმენელზე	1980 ლარი
3.3.	**ბსუ-ს შემოსავალი**	396,4 ლარი
3.4.	**პერსონალის შრომის ანაზღაურება, მათ შორის**	
3.4.1.	ტრენერ(ებ)ი (1 საათი 17.6 ლარი- სწავლების/საკონტაქტო 66 სთ)	1161, 6 ლარი
3.4.2.	ასისტენტი ნაშრომების გასწორებისათვის (1 მსმენელი - 11 ლარი)	110 ლარი
3.4.3.	ასისტენტი სასწავლო პროცესის მენეჯმენტისთვის (1 მსმენელი - 14 ლარი)	140 ლარი
3.4.4.	ასისტენტი სერტიფიკატების გაცემის და აღრიცხვის ორგანიზებისათვის (1 მსმენელი - 8 ლარი)	80 ლარი
3.5.	**სხვა ხარჯები**	
3.5.1.	მატერიალური რესურსი (ერთ მსმენელზე 7,8 ლარი)	78 ლარი
3.5.2.	სერტიფიკატების ხარჯი (1 სერტიფიკატი 1,4 ლარი)	14 ლარი
4.	**ხარჯთაღრიცხვა 10 მსმენელზე** (ონლაინ-რეჟიმით სწავლების ფორმატი)	
4.1.	სწავლის საფასური 1 მსმენელზე	198 ლარი
4.2.	სულ შემოსავალი 10 მსმენელზე	1980 ლარი
4.3.	**ბსუ-ს შემოსავალი**	474,4 ლარი
4.4.	**პერსონალის შრომის ანაზღაურება, მათ შორის**	
4.4.1.	ტრენერ(ებ)ი (1 საათი 17.6 ლარი- სწავლების/საკონტაქტო 66 სთ)	1161, 6 ლარი
4.4.2.	ასისტენტი ნაშრომების გასწორებისათვის (1 მსმენელი - 11 ლარი)	110 ლარი
4.4.3.	ასისტენტი სასწავლო პროცესის მენეჯმენტისთვის (1 მსმენელი - 14 ლარი)	140 ლარი
4.4.4.	ასისტენტი სერტიფიკატების გაცემის და აღრიცხვის ორგანიზებისათვის (1 მსმენელი - 8 ლარი)	80 ლარი
4.5.	სხვა ხარჯები	
4.5.1.	სერტიფიკატების ხარჯი (1 სერტიფიკატი 1,4 ლარი)	14 ლარი

შენიშვნა: პროგრამის განმახორციელებელი ტრენერ(ებ)ის (სწავლების/საკონტაქტო 66 სთ), ასევე დამხმარე პერსონალის (ასისტენტები ნაშრომის გასწორებისათვის, სასწავლო პროცესის მენეჯმენტისათვის და სერტიფიკატების მომზადება-გაცემისა და აღრიცხვისათვის) შრომის ანაზღაურება ყოველი კონკრეტული ჯგუფისათვის განისაზღვრება პროგრამის ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნული ოდენობით, სწავლების ფორმატისა და მსმენელთა რაოდენობის გათვალისწინებით.